წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N5

ქ. წალენჯიხა 28 ოქტომბერი 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე კორნელი სალია

სხდომას ესწრებოდნენ :

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: ნანა ქობალია, თამარ ბელქანია, მაია მიქავა, რომან კვარაცხელია, მამუკა მიქავა, ზაზა უბილავა, ჯულიეტა როგავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ : გიორგი დარსალია, დარეჯან დადიანი, ეკა სამუშია, დიმა კვარაცხელია, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია, კახა კვარაცხელია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ხატია მაქაცარია - გენდერზე პასუხისმგებელი პირი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ნათია კვარაცხელია - გენდერზე პასუხისმგებელი პირი, მერიის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, დევნილთა და ბავშვთა დაცვის მხარდაჭერის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომა დაიწყო: 12:30 სთ.

სხდომა დასრულდა : 13:10 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. კვლევის ანალიზის გაცნობა თემაზე „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე“
   მომხსენებელი: კორნელი სალია

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 1. კვლევის ანალიზის გაცნობა თემაზე „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე“

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე -კორნელი სალიამ აღნიშნა, რომ 2022 წლის 7 ოქტომბერს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარა კვლევა ფოკუს ჯგუფის მეთოდით თემაზე „წალენიხის მუნციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე“.

კვლევის მოდერატორმა ხატია მაქაცარიამ აღნიშნა, რომ კვლევაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელი ქალები. კვლევის დროს გამოიკვეთა საჭიროება ზუგდიდის სკრინინგ ცენტრში სახელმწიფო პროგრამით გათვლისწინებული მამოლოგიური კვლევისათვის ქალთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ აღნიშნა, რომ ფოკუს ჯგუფის შედეგების გათვალისწინებით, გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მომზადდეს საბიუჯეტი ინიციატივა „სკრინინგ ცენტრში ბენეფიციარების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის თაობაზე“ და დანართის სახით განსახილველად გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას .

საბჭოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ აღნიშნული საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე .

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 8;

წინააღმდეგი- არცერთი.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს განსახილველად წარედგინოს ინიციატივა „სკრინინგ ცენტრში ბენეფიციარების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის მერიას , რათა 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტსა და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში გაითვალისწინონ საბჭოს რეკომენდაცია.

საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს

თავმჯდომარე _____ კორნელი სალია

გენდერული თანასწორობის საბჭოს

მდივანი _____ ნანა ქობალია